



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
2010 წლის ჯანმრთელობის დაცვის, ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების,
სამედიცინო-პროფილაქტიკური, სოციალური დაცვისა და სამედიცინო დაწესებულებების
აღჭურვის პროგრამების შესრულების ანგარიში

ქ. ბათუმი

10 იანვარი, 2011 წელი

2009 წლის 17 დეკემბერს დამტკიცდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი, (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ №60 უ.ს.რ.ს.), რომლის საფუძველზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ 2010 წლის 5 იანვრის №1 განკარგულებით დამტკიცდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2010 წლის ჯანმრთელობის დაცვის, ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების, სამედიცინო-პროფილაქტიკური, სოციალური დაცვისა და სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვის პროგრამები, საერთო თანხით - 2 122 300 ლარი, მათ შორის:

ა) ამბულატორიული დახმარების პროგრამა: (ბიუჯეტი - 300 000 ლარი):

ა) მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედიცინო დახმარების კომპონენტი - 300 000 ლარი;

ბ) სტაციონარული დახმარების პროგრამა: (ბიუჯეტი - 1 046 900 ლარი):

ბ.ა) რესურსტევადი, მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტი - 500 000 ლარი;

ბ.ბ) ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური დახმარების კომპონენტი - 46 900 ლარი;

ბ.გ) დამატებითი სამედიცინო მომსახურების კომპონენტი - 500 000 ლარი;

გ) სამედიცინო-პროფილაქტიკური პროგრამა:

გ.ა.) სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი - 487 900 ლარი;

დ) ექიმთა გადამზადებისა და უწყვეტი სამედიცინო განათლების ხელშეწყობის პროგრამა:

დ.ა.) ახალგაზრდა ექიმ სპეციალისტთა გადამზადების კომპონენტი - 2 500 ლარი;

ე) სოციალური დახმარების პროგრამა: (ბიუჯეტი - 187 000 ლარი):

ე.ა) 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების კომპონენტი - 32 500 ლარი;

ე.ბ) თემის სამედიცინო პუნქტების ექიმამდელი სამედიცინო დახმარების განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი კომპონენტი - 154 500 ლარი.

ვ) სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვის პროგრამა:

ვ.ა)სამედიცინო დაწესებულებების სამედიცინო ავტოტრანსპორტის შეძენის კომპონენტი - 98 000 ლარი.

განკარგულებით განსაზღვრული იყო დამტკიცებული მიზნობრივი პროგრამების ამოქმედება 2010 წლის 1 იანვრიდან.

ბიუჯეტის I ცვლილება

2010 წლის 6 ივლისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№80 უ.ს.რ.ს.), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2010 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 13 ივლისის № 72 განკარგულებებით სამინისტროს ზოგიერთ მიზნობრივ პროგრამებში განხორციელდა ცვლილებები, რის შედეგადაც სამინისტროს 2010 წლის მიზნობრივი პროგრამების ღირებულება გაიზარდა (შემცირდა - 27 231 ლარით, გაიზარდა - 403 500 ლარით) 376 269 ლარით, კერძოდ:

ბიუჯეტის შემცირება

1. დამატებითი სამედიცინო მომსახურების კომპონენტი - 1 400 ლარი.

ეკონომია წარმოიქმნა კომპონენტის გასახორციელებლად გამართული ტენდერის (ზეპირი ვაჭრობა) დროს, რაც ექვემდებარებოდა შემცირებას.

2. სოფლის მოსახლეობის ექიმადელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი - 20 831 ლარი.

კომპონენტი ითვალისწინებდა თემის სამედიცინო პუნქტების მედლების შრომის ანაზღაურებას, კომუნალური ხარჯების დაფარვას და ასევე პუნქტების უზრუნველყოფას პირველადი დახმარების მედიკამენტებითა და სადიაგნოსტიკური საშუალებებით.

მედიკამენტებისა და სადიაგნოსტიკური საშუალებების ფასთა კოტირების მეთოდით შეძენისას (მედიკამენტები - 5 193 ლარი, სადიაგნოსტიკური საშუალებები - 2 040 ლარი) წარმოიქმნა 7 233 ლარის ეკონომია, ასევე 13 599 ლარის _ კომუნალური ხარჯების (ელექტროენერგიის ღირებულება) დაფინანსების დროს.

კომუნალურ ხარჯებში ეკონომიის წარმოქმნა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ თემის სამედიცინო პუნქტების გარკვეული ნაწილის აბონენტად აღიკვეთის პროცესი იმ პერიოდისათვის (ივლისის თვე) არ იყო დასრულებული.

3. „სამედიცინო დაწესებულებების სამედიცინო ავტოტრანსპორტის შეძენის კომპონენტი“ - 5 000 ლარი.

კომპონენტი ითვალისწინებდა ორი სამედიცინო ავტოტრანსპორტის შეძენას, რაც განხორციელდა ფასთა კოტირების მეთოდით, რის შედეგადაც წარმოიქმნა 5 000 ლარის ეკონომია.

ბიუჯეტის ზრდა

1. „რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური სამედიცინო (გულის ქირურგიის) მომსახურების კომპონენტი“ - 400 000 ლარი.

„რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტის“ 2010 წლის ბიუჯეტი განისაზღვრული იყო 500 000 ლარით და იგი გათვლილი იყო 12 თვეზე. ივლისის თვის მდგომარეობით კარდიოქირურგიული მკურნალობის დაფინანსების თაობაზე სამინისტროში შემოსული იყო სულ 103 მოქალაქის განცხადება, საიდანაც 70 პაციენტს უკვე ჩატარებული ჰქონდა მკურნალობა კომპონენტის ფარგლებში, 28 პაციენტის მკურნალობა მიმდინარეობდა, ხოლო დარჩენილი 5 მოქალაქის განცხადება კი განხილვის სტადიაში იყო. ნამკურნალებ და იმ პერიოდისათვის სტაციონარში მყოფ პაციენტებზე გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები ჯამში შეადგენდა 488 756, 25 ლარს.

ბოლო სამი წლის მონაცემების ანალიზით ნათლად გამოიკვეთა პაციენტთა მომართვიანობის მნიშვნელოვანი ზრდა - 2007 წელს კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდა 118 პაციენტი, 2008 წელს - 145 პაციენტი, 2009 წელს - 120 პაციენტი, ხოლო 2010 წლის ხუთ თვეში კი შემოსული განცხადებების რაოდენობა შეადგენდა 103-ს და მისი რაოდენობა წლის ბოლოდე მნიშვნელოვნად გაიზარდებოდა.

კომპონენტის ბენეფიციარი პაციენტების გაზრდილი მომართვიანობის დასაკმაყოფილებლად და კომპონენტის სრულყოფილად განხორციელებისათვის კომპონენტის ბიუჯეტი გაიზარდა 400 000 ლარით.

2. „100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების კომპონენტი“ - 3 500 ლარი.

კომპონენტი ითვალისწინებდა ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრებ 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერად სოციალურ დახმარებას 500 ლარის ოდენობით და იგი 2009 წლის დასასრულს მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით გათვლილი იყო 65 მოქალაქეზე.

მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურების მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ინფორმაციით 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეთა რაოდენობა გაზდილია 72-მდე იმ პირების ხარჯზე რომელთაც 100 წელი შეუსრელდებოდათ 2010 წელს, რამაც წარმოქმნა აუცილებლობა კომპონენტის ბიუჯეტის 3 500 ლარით გაზრდისა.

ბიუჯეტის II ცვლილება

2010 წლის 13 ოქტომბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№96 უ.ს.რ.ს.) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2010 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად მიზნობრივი პროგრამების ბიუჯეტი ღირებულება გაიზარდა (შემცირდა - 10 205 ლარით, გაიზარდა - 220 000 ლარით) 209 975 ლარით, კერძოდ:

ბიუჯეტის შემცირება

1. „სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი“ - 8 705 ლარი.

კომპონენტი ითვალისწინებდა თემის სამედიცინო პუნქტების მედლების შრომის ანაზღაურებას, კომუნალური ხარჯების დაფარვას და ასევე პუნქტების უზრუნველყოფას პირველადი დახმარების მედიკამენტებითა და სადიაგნოსტიკური საშუალებებით.

ეკონომიის წარმოქმნა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ თემის სამედიცინო პუნქტების გარკვეული ნაწილის აბონენტად აღიცხვის პროცესი არ იყო დასრულებული.

2. თემის სამედიცინო პუნქტების ექიმამდელი სამედიცინო დახმარების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა - 1 500 ლარი.

პროგრამა ითვალისწინებდა 45 თემის სამედიცინო პუნქტის აღჭურვა-რეაბილიტაციას, რისთვისაც გამოყოფილი იყო 154 500 ლარი.

ერთი-ერთი თემის (შუახევის მუნიციპალიტეტი, გოგნიაურის თემი) სამედიცინო პუნქტის აღჭურვა განახორციელა საქველმოქმედო ორგანიზაციამ, რამაც წარმოქმნა ეკონომია 1 500 ლარის ოდენობით, რაც ექვემდებარებოდა შემცირებას.

II ბიუჯეტის ზრდა

1. დამატებითი სამედიცინო მომსახურების კომპონენტი - 220 000 ლარი.

კომპონენტის ბიუჯეტი შეადგენდა 498 600 ლარს და იგი ითვალისწინებს 3-დან 60 წლამდე ასაკის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ურგენტულ სტაციონარულ მკურნალობის თანხების თანადაფინანსებას და სახელმწიფო პროგრამის ფარგლებს გარეთ დარჩენილ თირკმლის ქრონიკული დაავადების III, IV, V სტადიის მქონე ავადმყოფების დიალიზით მკურნალობის ხარჯები ანაზღაურებას.

ოქტომბრის მდგომარეობით კომპონენტში ჩართულ პაციენტებზე მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ღირებულება შეადგენდა 463 476 ლარს, საიდანაც 349 978 ლარის ღირებულების სამედიცინო მომსახურება უკვე დაფინანსებული იყო, ხოლო დარჩენილი - 113 498 ლარს სამედიცინო მომსახურება კი შესრულების პროცესში იყო და უახლოეს პერიოდში ექვემდებარებოდა ანაზღაურებას.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით კომპონენტის ფარგლებში ასათვისებელი თანხის მოცულობა შეადგენდა 35 124 ლარს, რაც ერთი თვის ხარჯების დასაფინანსებლად არ იყო საკმარისი.

პაციენტებზე მიწოდებული სამედიცინო მომსახურების საერთო ღირებულების 50 %-ზე მეტი (236 295 ლარი) მოდიოდა 37 პაციენტის დიალიზის მკურნალობის ხარჯებზე, რომელთა რიცხვი წლის დასაწყისში 5 პაციენტს არ აღემატებოდა.

კომპონენტის დეფიციტურობაც ძირითადად თირკმლის ქრონიკული დაავადების III, IV, V სტადიის მქონე ავადმყოფების რაოდენობის ასეთმა ზრდამ განაპირობა, რომელთა დიალიზის სეანსებით უზრუნველყოფისათვის და კომპონენტით აღებული ვალდებულებების წლის ბოლომდე შესრულებისათვის კომპონენტი ბიუჯეტი გაიზარდა 220 000 ლარით.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2010 წლის მიზნობრივი პროგრამების ღირებულება განისაზღვრა 2 708 364 ლარის ოდენობით.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2010 წლის მიზნობრივი პროგრამები


კოდი	დასახელება	დამტკიცებული გეგმა
1	ჯანმრთელობის დაცვისა და ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლებისა და სამედიცინო-პროფილაქტიკური პროგრამები	2 426 364
	ამბულატორიული დახმარების პროგრამა	300 000
110313	მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედიცინო დახმარების კომპონენტი	300 000
	სტაციონარული დახმარების პროგრამა	1 665 500
110322	რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტი	900 000
110323	ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური დახმარების კომპონენტი	46 900
110324	დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტი	718 600
	ექიმთა გადამზადებისა და უწყვეტი სამედიცინო განათლების ხელშეწყობის პროგრამა	2 500
110342	ახალგაზრდა ექიმ-სპეციალისტთა გადამზადების კომპონენტი	2 500
	სამედიცინო-პროფილაქტიკური პროგრამა	458 364

110331	სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი	458 364
2	სოციალური დაცვის პროგრამები	189 000
	სოციალური დახმარების პროგრამა	189 000
110411	100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების კომპონენტი	36 000
110414	თემის სამედიცინო პუნქტების ექიმამდელი სამედიცინო დახმარების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	153 000
3	სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვის პროგრამა	93 000
110331	სამედიცინო დაწესებულებების სამედიცინო ავტოტრანსპორტის შეძენის კომპონენტი	93 000
	სულ ჯამი	2 708 364

2010 წლის 12 თვეში მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 2 708 364 ლარს, შესრულებულია 2 695 519 ლარის სამუშაო, საკასო ხარჯმა შეადგინა 2 695 519 ლარი, გადახრა შეადგენს 12 845 ლარს. (იხ. ცხრილი).

დასახელება	დამტკიცებული გეგმა	შესრულება	საკასო ხარჯი	გადახრა (გეგმა-დაფინანსება)
მიზნობრივი პროგრამები	2 708 364	2 695 519	2 695 519	12 845
ჯანმრთელობის დაცვისა და ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლებისა და სამედიცინო-პროფილაქტიკური პროგრამები	2 426 364	2 414 019	2 414 019	12 345
სოციალური დაცვის პროგრამები	189 000	188 500	188 500	500
სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვის პროგრამა	93 000	93 000	93 000	0

1. ჯანმრთელობის დაცვის, ექიმ-სპეციალისტთა გადამზადების და სამედიცინო პროფილაქტიკური პროგრამები



1. ამბულატორიული დახმარების პროგრამა

1.1 მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედიცინო დახმარების კომპონენტი.

კომპონენტის ბიუჯეტი შეადგენდა 300 000 ლარს.

კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება განხორციელდა მომხმარებელთა ვაუჩერიზაციის გზით. მოწვევა კომპონენტის შესრულებაში მონაწილეობისათვის გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათში“ 2010 წლის 23 მარტს (№59). განცხადებით მონაწილეობისათვის მოგვმართა ოცდათექვსმეტმა იურიდიულმა პირმა, 35-თან გაფორმდა ხელშეკრულებები.

კომპონენტით გათვალისწინებული იყო განსაკუთრებულ შემთხვევებში: სტიქის შედეგად კატასტროფებით, ჯგუფური დაავადებებით, ეპიდემიებით გამოწვეული დაავადებების და დაზიანებების, აუცილებლად საჭირო მკურნალობის ფინანსური ხელმიუწვდომლობის დროს მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდების ორგანიზაცია და დაფინანსება, მიზნად ისახავს ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის შენარჩუნებას, გართულებების თავიდან აცილებას, შესაძლებლობის შეზღუდვის შემცირებას.

სულ გაცემული იყო 239 ვაუჩერი.

საანგარიშო პერიოდში სამედიცინო დახმარება გაეწია 215 პაციენტს, მათ შორის:

ონკოლოგიური დაავადებების დროს ქიმიოთერაპიის კურსი ჩაუტარდა - 94 პაციენტს, სხივური თერაპია - 8 პაციენტს;


სტაციონარული მკურნალობა ჩაუტარდა 113 პაციენტს, მათ შორის კონსევაციული - 4-ს, ქირურგიული ოპერაციები - 109 პაციენტს.

დარჩენილი გაცემული 24 ვაუჩერის მფლობელს მკურნალობა არ ჩაუტარდა.

#	დასახელება	12 თვე					
		გეგმა	შესრულ.	დაფინანს.	რაოდენობა	გადახრა გეგ-დაფ	შესრულების %
1	შპს "ქ. ბათუმის №1 საავადმყოფო"	300 000	29 701	29 701	19	1 235	99.6
2	შპს "მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი"		984	984	1		

3	შპს "ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო"	21 690	21 690	22		
4	შპს "ქ. ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური ცენტრი"	2 415	2 415	3		
5	შპს "აჭარის ა. რ. ონკოლოგიის ცენტრი"	118 182	118 182	102		
6	შ.პ.ს. ჯანმრთელობის ცენტრი "მედინა"	12 793	12 793	14		
7	შ.პ.ს. "ჰემა"	9 815	9 815	5		
8	შ.პ.ს. "კარაპს მედლაინი"	3 012	3 012	2		
9	შ.პ.ს. "ქირურგიული კლინიკა SALVE"	4 610	4 610	2		
10	სს "ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი"	10 161	10 161	4		
11	შ.პ.ს. "გ. ჟვანიას სახ. პედიატრიული კლინიკა"	0	0	0		
12	სს "აკად. ო. ლუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი"	3 133	3 133	2		
13	შ.პ.ს. "საქართველოს ანგიოლოგიისა და სისხლძარღვთა ქირურგიის ცენტრი"	4 853	4 853	2		
14	შპს "დავით გაგუას კლინიკა"	2 320	2 320	2		
15	სს "ტრავმატოლოგი"	0	0	0		
16	შპს "თორაკოაბდომინალური კლინიკა"	1 835	1 835	1		
17	შპს "თერმულ დაზიანებათა და აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი"	1 176	1 176	1		
18	სს "ა. ღვამიჩავას სახ. ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი"	21 659	21 659	9		
19	შპს "ივანე ჯავახიშვილის სახ. თსუ კლინიკური საავადმყოფო"	3 884	3 884	2		

20	შპს "აკად. ზ. ცხაკაიას სახ. დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი"		12 315	12 315	4		
21	შპს "მზერა"		1 400	1 400	1		
22	შპს "მედულა"		2 949	2 949	1		
23	შპს "ქირონი"		1 543	1 543	1		
24	შპს "მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო"		4 443	4 443	2		
25	შპს "ნიუ ჰოსპიტალი"		1 229	1 229	0		
26	შპს "აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა"		5 722	5 722	3		
27	შპს "ესტა კუზანოვ კლინიკ"		2 250	2 250	1		
28	შპს "ქ. ბათუმის სამშობიარო სახლი"		1 920	1 920	2		
29	შპს "ვახტანგ ბოჭორიშვილის სახ. სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრი"		2 392	2 392	2		
30	სს "აკად. კ. ერისთავის სახ ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი"		2 660	2 660	1		
31	სს "ახალი მზერა"		2 492	2 492	0		
32	შპს სისხლძარღვთა და გადაუდებელი მიკოქირურგიის კლინიკა "კარაბადინი"		2 150	2 150	1		
33	სს "საზღვაო სამედიცინო სერვისი"		878	878	1		
34	შპს "ქ. თბილისის №1 საავადმყოფო, საუნივერსიტეტო კლინიკა-ნეიროქირურგიის ცენტრი"		1 464	1 464	1		
35	შპს "ს. ხეჩინაშვილის სახ. საუნივერსიტეტო კლინიკა"		736	736	1		
სულ		300 000	298 765	298 765	215	1 235	99.6



მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით:

№	ქალაქი, მუნიციპალიტეტი	რაოდენობა
1	ბათუმი	116
2	ქობულეთი	41
3	ხელვაჩაური	46
4	ქედა	3
5	შუახევი	6
6	ხულო	3
სულ		215

1.2 სტაციონარული დახმარების პროგრამა

1.2.1 რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო

მომსახურების კომპონენტი (900 000 ლარი)

კომპონენტის ბიუჯეტი შეადგენდა 500 000 ლარს.

კომპონენტის ბენეფიციარი პაციენტების მაღალი მომართვიანობის გამო კომპონენტის ბიუჯეტი არასაკმარისი იყო, რის გამოც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ივლისის თვეში განხორციელებული ცვლილებების დროს პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა 400 000 ლარით და შეადგინა 900 000 ლარი.

კომპონენტი ხორციელდებოდა მომხმარებელთა ვაუჩერიზაციის გზით.

განცხადება კომპონენტის შესრულებაში მონაწილეობის მსურველი პირებისათვის გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათში“ - 2010 წლის 11 იანვარს.

სამინისტროს წერილობით მიმართა და გაფორმდა ხელშეკრულება კარდიოქირურგიულ სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე:

11 იანვარს - შ.პ.ს. „აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრთან“;

12 იანვარს - შ.პ.ს. „ღია გულთან“;

15 იანვარს - შ.პ.ს. „აკად. ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრთან“;

3 თებერვალს - ა.ი.პ. „ჯო ენის სახელობის სამედიცინო ცენტრთან“;

26 თებერვალს - შ.პ.ს. „აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკასთან“;

4 ივნისს - შპს "ადაპტთან“;

21 ივნისს - შპს "გულთან";

9 ივლისს - შპს "თბილისის გულისა და სისხლძვთა კლინიკასთან";

24 დეკემბერს - შპს „მედინასთან“.

კომპონენტის ფარგლებში დაგეგმილი იყო გულის პათოლოგიებით დაავადებული მოზრდილი მოსახლეობის გარკვეული კატეგორიებისათვის კარდიოქირურგიული სამედიცინო მომსახურების მიწოდება.

კომპონენტის ბენეფიციარები იყვნენ:

- 50 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეები, რომლებიც არ სარგებლობდნენ სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამებით, ინდივიდუალური ან/და კორპორაციული სამედიცინო დაზღვევით;
- 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეები, რომლებიც არ იყვნენ დაზღვეულნი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამებით;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
- 18 წლის ასაკის ზევით მოსახლეობა გულის თანდაყოლილი მანკებით;
- 50 წლამდე ასაკის მოსახლეობა (მხოლოდ ანგიოპლასტიკა და შუნტირება).

პაციენტებზე ვაუჩერის გაცემა ხორციელდებოდა სამინისტროს მიერ.

სულ გაცემულია 200 ვაუჩერი.

საანგარიშო პერიოდში კარდიოქირურგიული სამედიცინო დახმარება გაეწია 187 პაციენტს, მათ შორის:

- იშემიური დაავადებების, გულის სიმსივნეების ქირურგიული მკურნალობა (კოდი 650001) - 72 პაციენტს;
- ერთი სარქველის /აღმავალი აორტის/აორტის რკალის პროთეზირება/ პლასტიკა (კოდი 650002) - 9 პაციენტს;

- ბენტალის ოპერაცია (კოდი 650004) ჩაუტარდა 1-ს;
- ორი სარქველის/სარქველისა და აღმავალი აორტის პროთეზირება (კოდი 650005) - 2 პაციენტს;
- ანგიოპლასტიკა (კოდი 650006) ჩაუტარდა 96-ს;
- ოპერაცია სისხლის ხელოვნური მიმოქცევის გარეშე (კოდი 660002) ჩაუტარდა 2-ს;
- ბიოლოგიური სარქველი (კოდი 660003) - 2-ს;
- ამპლაცერი/პეისმეიკერი (კოდი 660004) - 2-ს;
- ვალვულოპლასტიკა (კოდი 660005) - 1-ს.

დარჩენილი გაცემული 13 ვაუჩერის მფლობელიდან - 4-ის მკურნალობა გადაიდო, 9 პიროვნებას არ ჩაუტარდა მკურნალობა სხვადასხვა სამედიცინო და არასამედიცინო ჩვენებით.

მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით:

№	ქალაქი, მუნიციპალიტეტი	მოსარგებლეთა რაოდენობა
1	ბათუმი	94
2	ქობულეთი	35
3	ხელვაჩაური	45
4	ქედა	4
5	შუახევი	5
6	ხულო	4
სულ		187

1.2.2 ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური დახმარების კომპონენტი

კომპონენტის ბიუჯეტი შეადგენს 46 900 ლარს.


კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა განხორციელდა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით.

2010 წლის 22 იანვარს შ.პ.ს. „აჭარის ა.რ. ონკოლოგიის ცენტრთან“ გაფორმდა ხელშეკრულება №024/ე.პ.მ. ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური დახმარების შესყიდვაზე. სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 46 900 ლარს. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2010 წლის 31 დეკემბრამდე.

კომპონენტით გათვალისწინებული იყო ინკურაბელური პაციენტების სტაციონარული მკურნალობა, მათი სამედიცინო საჭიროებების დროული და სრული შეფასება, სპეციალისტების კონსულტაციითა და კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევებით უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში პალიატიული სამედიცინო დახმარება სტაციონარში გაეწია 111 პაციენტს. მათ შორის სიმპტომური მკურნალობა 89-ს, პალიატიური მცირე ქირურგიული ოპერაციული მკურნალობა 22-ს.

დასახელება	12 თვე					
	გეგმა	შესრულება	დაფინანსება	რაოდენობა	გადახრა გეგ-დაფ	შესრულების %
შპს "აჭარის ა. რ. ონკოლოგიის ცენტრი"	46 900	46 900	46 900	111	0	100.0



1.2.3 დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტი (718 600 ლარი)

კომპონენტის ბიუჯეტი შეადგენდა 500 000 ლარს.

კომპონენტის გასახორციელებლად გამართული ტენდერის (ზეპირი ვაჭრობა) დროს, მიმწოდებლის მიერ მომსახურების ღირებულების შემცირების ხარჯზე წარმოიქმნა ეკონომია 1 400 ლარის ოდენობით რაც გათვალისწინებულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ივლისის თვეში განხორციელებული ცვლილებების დროს, რის გამოც პროგრამის ბიუჯეტი შემცირდა და შეადგინა 498 600 ლარი.

კომპონენტის შესყიდვა განხორციელდა ორეტაპიანი ტენდერით.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათში“ (№3) 2010 წლის 12 იანვარს. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა: დაზღვევის საერთაშორისო კომპანია „ირაო“-მ, ს.ს. საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი L“-მა და შ.პ.ს. „სადაზღვევო კომპანია „აისი ჯგუფმა“.

მეორე ეტაპზე სატენდერო წინადადება წარმოადგინა ს.ს. საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი L“-მა;

2010 წლის 25 თებერვალს სამინისტროს სატენდერო კომისიამ განიხილა პრეტენდენტის სატენდერო წინადადება და ცნო გამარჯვებულად ს.ს. საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი L“;

2010 წლის 25 თებერვალს ს.ს. საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი L“-თან გაფორმდა ხელშეკრულება №001/ო.ტ. დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტით განსაზღვრულ მომსახურებაზე. სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 498 600 (ოთხას ოთხმოცდათვრამეტი ათას ექვსასი) ლარს. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2010 წლის 25 დეკემბრამდე.

თირკმლის ქრონიკული დაავადების III, IV, V სტადიის მქონე ავადმყოფების რაოდენობის ზრდამ, რომელთა დიალიზის სეანსებით უზრუნველყოფისათვის და კომპონენტით აღებული ვალდებულებების წლის ბოლომდე შესრულებისათვის დადგა პროგრამის ბიუჯეტის გაზრდის აუცილებლობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების დროს პროგრამის ბიუჯეტი 2010 წლის 13 ოქტომბერს გაიზარდა 220 000 ლარით და შეადგინა 718 600 ლარი.

4 ნოემბერს ს.ს. საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი L“-თან გაფორმდა ხელშეკრულება №093/ეპმ დამატებითი პროგრამით განსაზღვრულ მომსახურებაზე.

კომპონენტი ითვალისწინებდა ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებული 3-15 წლის ასაკის ბავშვების და 15 წლის ზევით ასაკის მოსახლეობის ზოგიერთი კატეგორიისათვის ურგენტული სამედიცინო დახმარების მიწოდებასა და თირკმლის ქრონიკული დაავადების III, IV, V სტადიის მქონე ავადმყოფების დიალიზის სეანსებით უზრუნველყოფას.

ქ. ბათუმისა და ქ. თბილისის სამედიცინო დაწესებულებებში 726 პაციენტს გაეწია ურგენტული სამედიცინო დახმარება, მათ შორის 471-ს- 3-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვს.

დიალიზით მკურნალობა დაუფინანსდა აღრიცხვაზე მყოფ 55 პაციენტს.

№	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება (დეტალურად გაშიფრული)	შემოსულის რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ღონისძიების ხარჯი (ბიუჯეტიდან დაფინანსებული)	ხარჯის წილი მიმდინარე ხარჯებთან (%)
2010 წელი					
სოციალური უზრუნველყოფა					
I	ამბულატორიული დახმარება	853		393 360	194.13
	სპეციალობა: ნეფროლოგია	853		393 360	194.13
	თირკმლის ქრონიკული დაავადების III, IV, V სტადია (კემოდიალიზი, სეანსების რაოდენობა)	3 278	120	393 360	194.13
II	სტაციონარული დახმარება	772		311 154	153.56
ბ.1	3-15 წლამდე ბავშვთა სტაციონარული მომსახურება	498		153 080	75.55
1	ალერგოლოგია	0		0	
1.1	ასთმა	0		0	
J45	ასთმა (გამწვავების პერიოდი)	4	285	798	0.11

1.3	სხვა ალერგიული დაავადებები/მდგომარეობები	0		0	
L50	ურტიკარია	12	101	970	0.13
2	გასტროენტეროლოგია	0		0	
R10.1	მუცლის ზემო ნაწილში ლოკალიზებული ტკივილი (ეპიგასტრული ტკივილი)	17	196	2 666	0.37
4	ენდოკრინოლოგია	0		0	
E10	ინსულინდამოკიდებული შაქრიანი დიაბეტი (ახლადგამოვლენილი)	1	264	211	0.03
5	ინფექციური დაავადებები	0		0	
5.1	ნეიროინფექცია	0		0	
G00	ბაქტერიული მენინგიტი, რომელიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში	3	642	1 541	0.21
5.2	სხვა ინფექციური დაავადებები	0		0	
A08.4	ნაწლავთა ვირუსული ინფექცია, დაუზუსტებელი	1	205	82	0.01
A09	სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეა და გასტროენტერიტი	31	205	4 920	0.68
B34	ვირუსული ინფექცია, დაუზუსტებელი	2	205	328	0.05
6.2	სხვა კარდიორევმატიული ავადმყოფობები	0		0	
M13.0	პოლიართრიტი, დაუზუსტებელი	1	223	178	0.02
I01	რევმატული ცხელება გულის დაზიანებით	1	223	178	0.02

8	კრიტიკული მდგომარეობები	0		0	
G04	ენცეფალიტი, მიელიტი და ენცეფალომიელიტი	1	1137	910	0.13
G41	ეპილეფსიური სტატუსი	1	1137	910	0.13
I61	ინტრაცერებრული სისხლჩაქცევა	1	1137	455	0.06
ჟ96.0	სუნთქვის მწვავე უკმარისობა	3	1137	2 729	0.38
R56.8	სხვა და დაუზუსტებელი კრუნჩხვები	7	1137	6 367	0.89
R57.1	ჰიპოვოლემიური შოკი (ჰემორაგიული)	2	1137	1 364	0.19
R57.8	სხვა შოკი [ენდოტოქსიური შოკი]	2	1137	1 819	0.25
T79.4	ტრავმული შოკი	2	1137	1 819	0.25
9	ნევროლოგია	0		0	
9.1	ენცეფალიტი, მიელიტი, ენცეფალომიელიტი, გიენ-ბარეს სინდრომი	0		0	
G04	ენცეფალიტი, მიელიტი და ენცეფალომიელიტი	1	679	272	0.04
9.4	ნერვული სისტემის სხვა ავადმყოფობები	0		0	
G40.3	გენერალიზებული იდიოპათიური ეპილეფსია და ეპილეფსიური სინდრომები	6	235	1 128	0.16
G91	ჰიდროცეფალია	1	235	188	0.03
I02	რევმატული ქორეა	1	235	188	0.03
T09.3	ზურგის ტვინის დაზიანება დაუზუსტებელ დონეზე	1	235	188	0.03

	(ქვემწვავე და აღდგენითი პერიოდი)				
10	ნეიროქირურგია	0		0	
10.1	ზედაპირული დაზიანება და თავის ტვინის შერყევა	0		0	
S00	თავის ზედაპირული დაზიანება	1	203	162	0.02
S01	თავის ღია ჭრილობა	1	203	61	0.01
S06.0	თავის ტვინის შერყევა	15	203	2 111	0.29
10.2	ნეიროქირურგია ინტენსიური თერაპიით	0		0	
S02.0	ქალასარქველის მოტეხილობა	2	1506	2 410	0.34
S06.4	ეპიდურული სისხლჩაქცევა	3	1506	3 614	0.50
11	ნეფროლოგია	0		0	
11.1	საშარდე სისტემის ქრონიკული დაავადებები	0		0	
N04	ნეფროზული სინდრომი (ლიპოიდური ნეფროზი)	2	320	512	0.07
N18.9	თირკმლის ქრონიკული უკმარისობა, დაუზუსტებელი	2	320	512	0.07
11.2	საშარდე სისტემის მწვავე დაავადებები	0		0	
N00	მწვავე ნეფრიტული სინდრომი	1	252	202	0.03
N39.0	საშარდე გზების ინფექცია, დაუზუსტებელი ლოკალიზაციის (ცხელებით/ცხელების გარეშე)	12	252	2 419	0.34
12	ოტოლარინგოლოგია	0		0	
12.1	IV სირთულის ოპერაციები	0		0	

H66.2	ქრონიკული ეპიტიმპანურ-ანტრალური ჩირქოვანი შუა ოტიტი (გართულებული ფაციალისით, ლაბირინთიტით)	3	750	1 800	0.25
12.3	უკანა ტამპონადა	0		0	
C69	ცხვირიდან სისხლდენა (უკანა ტამპონადიით)	2	93	1	0.00
13	ოფთალმოლოგია	0		0	
13.1	V სირთულის ოპერაციები	0		0	
H33	ბადურის ჩამოცლა და გახევა	1	655	524	0.07
13.2	II-III სირთულის ოპერაციები	0		0	
H50	სხვა სტრაბიზმი (სიელმე)	2	316	506	0.07
Q12.0	თანდაყოლილი კატარაქტა	1	316	126	0.02
14	სასუნთქი სისტემის დაავადებები	0		0	
14.1	მკურნალობა ინტენსიური თერაპიით	0		0	
I05.0	მწვავე ობსტრუქციული ლარინგიტი [კრუპი] (III-IV ხარისხი)	1	697	558	0.08
J12	ვირუსული პნევმონია, რომელიც არაა კლასიფიცირებული სხვა რუბრიკებში	1	697	558	0.08
J18	პნევმონია, გამომწვევის დაზუსტების გარეშე	5	697	2 788	0.39
14.2	მკურნალობა ინტენსიური თერაპიის გარეშე	0		0	
J02	მწვავე ფარინგიტი	1	190	152	0.02
J05.0	მწვავე ობსტრუქციული ლარინგიტი [კრუპი] '(I - II	19	190	2 888	0.40

	ხარისხი)				
J06	ზედა სასუნთქი გზების მრავლობითი და დაუზუსტებელი ლოკალიზაციის მწვავე ინფექციები	37	190	5 548	0.77
J10.1	გრიპი სხვა რესპირატ.გამოვლინებებით, გრიპის ვირუსი იდენტ. (გრიპული ლარინგიტი)	1	190	152	0.02
J11.0	გრიპი პნევმონიით, ვირუსი არაა იდენტიფიცირებული	0	190	0	0.00
J11.1	გრიპი სხვა რესპირატ.გამოვლინებებით, ვირუსი არაა იდენტ. (გრიპული ლარინგიტი)	3	190	456	0.06
J18	პნევმონია, გამომწვევის დაზუსტების გარეშე	25	190	3 626	0.50
J20	მწვავე ბრონქიტი (ბრონქოსპაზმი)	47	190	7 068	0.98
16	ორთოპედია-ტრავმატოლოგია	0		0	
16.1	ოპერაციული მკურნალობა ინტენსიური თერაპიით	0		0	
Q65.0	ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობა, ცალმხრივი	4	1076	3 443	0.48
Q65.4	ბარძაყის თანდაყოლილი ქვეამოვარდნილობა, ორმხრივი	2	1076	1 722	0.24
Q66	ტერფის თანდაყოლილი დეფორმაციები	2	1076	1 722	0.24
S72	ბარძაყის მოტეხილობა	1	1076	861	0.12
16.2	ოპერაციული მკურნალობა ინტენსიური თერაპიის გარეშე	0		0	
S52	წინამხრის მოტეხილობა	3	448	1 075	0.15
S62	მოტეხილობა მაჯის და მტევნის დონეზე (ღია)	3	448	1 051	0.15

T14.1	სხეულის დაუზუსტებელი უბნის ღია კრილობა	1	448	358	0.05
T14.6	სხეულის დაუზუსტებელი უბნის მყესების და კუნთების დაზიანება	1	448	358	0.05
16.3	კონსერვატული მკურნალობა	0		0	
M25.0	ჰემართროზი	1	418	334	0.05
S32	ხერხემლის წელის ნაწილის და მენჯის მოტეხილობა	3	418	669	0.09
S42.0	ლავიწის მოტეხილობა	1	418	334	0.05
S42.3	მხრის ძვლის სხეულის მოტეხილობა	2	418	502	0.07
S42.4	მხრის ძვლის ქვედა ბოლოს მოტეხილობა	6	418	2 006	0.28
S52	წინამხრის მოტეხილობა	4	418	1 170	0.16
S62	მოტეხილობა მაჯის და მტევნის დონეზე	1	418	334	0.05
S72	ბარძაყის მოტეხილობა	0	418	0	0.00
S73	ბარძაყის ამოვარდნილობა, მენჯ-ბარძაყის სახსრის იოგების დაძაბვა და დაჭიმვა	2	418	669	0.09
S82	წვივის ძვლების მოტეხილობა, კოჭის ჩათვლით	2	418	669	0.09
T14.1	სხეულის დაუზუსტებელი უბნის ღია კრილობა	2	418	631	0.09
17	უროლოგია	0		0	
